ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქ. რუსთავში, შპს „რუსთავის ფოლადის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

შენიშვნა: ქ. რუსთავში, შპს „რუსთავის ფოლადის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი უზუსტობებისა და დასაზუსტებელი საკითხების, მათ შორის სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წერილობით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, სააგენტომ N21/3117 წერილის საფუძველზე შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება და შპს „რუსთავის ფოლადს“ დაევალა დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N4915).

№	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის ანგარიშის მე-18 გვერდზე აღნიშნულია, რომ საწარმო მუშაობს სამცვლიანი გრაფიკით. მე-19 გვერდზე კი აღნიშნულია, რომ სამუშაო ოთხცვლიანი გრაფიკით მიმდინარეობს. ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას.	დამატებითი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში განსხვავებული სამუშაო გრაფიკია სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში, კერძოდ არის ორცვლიანი და სამცვლიანი გრაფიკები, თუმცა ოთხცვლიანი გრაფიკით არცერთ საამქროში არ მიმდინარეობს სამუშაო პროცესი. შესაბამისად აღნიშნულია, რომ დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.
2	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა:	მონაცემების ელ. გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ დოკუმენტში	დამატებითი ინფორმაციის თანახმად, სააგენტოში ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას შპს „რუსთავის ფოლადის“

	gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	წარმოდგენილი საკადასტრო კოდი - 02.07.04.764 აღარ არის ვალიდური. აღნიშნული ნაკვეთის ახალი საკადასტრო კოდია 02.07.04.816, შესაბამისად ინფორმაცია საჭიროებს განახლებას.	საწარმო ტერიტორიის გარკვეულ ნაკვეთებს შეეცვალა საკადასტრო კოდები და წარმოდგენილ იქნა კორექტირებული ინფორმაცია, რომელიც ასახულია გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში.
3	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის თავში 4.2 ჩამოთვლილია პროდუქციის ასორტიმენტი და ქარხნის ფაქტობრივი საწარმოო სიმძლავრეები. აღნიშნულ ჩამონათვალში, რიგ საამქროებთან ვხვდებით ჩანაწერს „პროდუქციის ზრდის პერსპექტივით“. გულისხმობს თუ არა ეს ჩანაწერი, რომ სამომავლოდ საწარმო კვლავ გაივლის შესაბამის პროცედურებს ქარხნის წარმადობის გაზრდაზე? თუ აღნიშნული გზშ-ის ანგარიში ფარავს პერსპექტიულად შეცვლილ წარმადობას?	დამატებითი ინფორმაციის თანახმად, სამომავლოდ შესაძლებელია მოხდეს საწარმოს წარმადობის კიდევ გაზრდა, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების თაობაზე კომპანია გაივლის შესაბამის პროცედურებს.
4	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის ანგარიშის თავში 4.3.5 რომელიც ეხება საფასონო-სამსხმელო (საჩამომსხმელო) საამქროს აღწერას, წარმოდგენილია საამქროს ფოტოსურათები. ფოტოებზე ჩანს, რომ საამქრო საკმაოდ მოუწესრიგებელია. რამდენად მისაღებია, საამქროს ამგვარი მდგომარეობით ფუნქციონირება უსაფრთხოების კუთხით? ამასთან, ხაზგასასმელია სააგენტოსთვის ის	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საფასონო-სამსხმელო საამქროში არსებულ ყველა ღუმელი არის დაკონსერვებული გარდა 5 და 3 ტონა წარმადობის ღუმელებისა, რომლებზეც შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია აირგამწმენდი სისტემის და უწყვეტი მონიტორინგის სისტემის დამონტაჟება.

		გარემოებაც, რომ ასეთ საამქროში არსებულ ღუმელებს გზშ-ის თანახმად, აირგამწმენდი სისტემები არ გააჩნია და გაწმენდილი აირმტვერნარევის ატმოსფეროში გაფრქვევა უნდა მოხდეს არსებული 15 მ სიმაღლის მილის საშუალებით. ამავე საქმიანობაზე მომზადებულ სკოპინგის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ნამწვი აირების გაფრქვევის 15 მ სიმაღლის მილი, იყო უმოქმედო მდგომარეობაში. რა მდგომარეობაა დღეს და შევიდა თუ არა ექსპლუატაციაში აღნიშნული მილი?	ხოლო 15 მ სიმაღლის მილის ექსპლუატაცია მიმდინარეობს ამ ეტაპზეც.
5	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	ქარხნის ინსპექტირების მასალებით დადგინდა, რომ მილსაგლინავ საამქროში არ არის ვენტილაციის სისტემა, საამქროს შენობაში გამოყოფილი მავნე აირების ორგანიზებული აირაციული ფარნებიდან ატმოსფეროში გაფრქვევისათვის. რა მდგომარეობაა დღეს საწარმოში ამ კუთხით?	დამატებითი ინფორმაციის თანახმად, მილასაგლინავ საამქროში მიმდინარე საწარმოო პროცესისას მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურის ზრდა, სადაც ცხელი ჰაერის ატმოსფეროში გაფრქვევა ხორციელდება ვენტილაციის ბუნებრივი სისტემით (აერაცია) საშუალებით. კერძოდ, საამქროს შენობაში გამოყოფილი ცხელი აირები მაღალი ტემპერატურის და შესაბამისად მცირე კუთრი წონის გამო გადაადგილდება საამქროს ზედა ზონისკენ, საიდანაც აერაციული ფარნების (სარკმელების) საშუალებით გაიფრქვევა ატმოსფეროში. ხოლო მეტალის ნამზადის ღუმელში გახურების პროცესში წარმოქმნილ

			მავნე აირების გაფრქვევა ხდება 80 მ სიმაღლის საკვამლე მილის საშუალებით.
6	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის ანგარიშის თავში 6.2.4 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში აღნიშნულია, რომ გათვლების პროცესში მოძიებული ვერ იქნა მშრალი წესით ცემენტის წარმოების ქარხნის დოკუმენტაცია, რომელიც განთავსებულია შპს „რუსთავის ფოლადის“ საზღვრიდან 500 მეტრის რადიუსში. აქვს თუ არა სააგენტოს ეს ინფორმაცია თავის ბაზაში? თუ არა, რა არის ამის მიზეზი ? გზშ-ის ანგარიშის თავში 6.2.5 მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგები და ანალიზი, მოცემულია საკონტროლო წერტილებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები ზდკ-წილებში, სადაც აზოტის დიოქსიდის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. სასურველია, რომ სამინისტრომ დამოუკიდებლად უზრუნველყოს ზდკ-სთან ასე ახლოს მიღებული მონაცემის გადამოწმება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ტერიტორიასთან მდებარეობს	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით (პირობა N3; 4; 5; 6) კომპანიას განესაზღვრა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებსა და საკონტროლო წერტილთან მათ შორის ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტების საზღვრებზე და სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან) ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება. გარდა ამისა, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს საწარმოს გეგმიურ/არაგეგმიურ შემოწმებებს.

		კლინიკა და სასჯელაღსრულების დაწესებულება.	
7	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის ანგარიშის ხმაურის გათვლების თავში აღნიშნულია, რომ გაანგარიშების შედეგების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიის სამხრეთის მხარეს მდებარე დაწესებულების საზღვართან, ადგილი აქვს ღამის საათებისათვის დადგენილი ხმაურის გავრცელების დონის გადაჭარბებას (ნორმა 40 დბა). ამასთან, გზშ-ის ანგარიშის თავში 6.9 - კუმულაციური ზემოქმედება, აღნიშნულია, რომ უშუალოდ საწარმოს საზღვრებზე ჩატარებული გაზომვების შედეგების მიხედვით, ხმაურის გავრცელების დონეები არ აჭარბებს ნორმირებულ მნიშვნელობებს. მოცემული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. ხმაურის გათვლების თავში, სადაც იკვეთება ხმაურის დონის გადაჭარბება, აღნიშნულია რომ თუ გავითვალისწინებთ ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ და ხელოვნურ ბარიერებს (ხე მცენარეები, ბეტონის ღობე და სხვა), ხმაურის გავრცელების დონეები შემცირდება მინიმუმ 5- 10 დბა-თი. ასეთი შემთხვევების დროს, სასურველია სამინისტრომ თავად	დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, N17 სასჯელაღსრულების დაწესებულების საზღვართან ხმაურის გავრცელების დონე შეადგენს 43 დბა (ნორმა ღამის საათებისთვის - 40 დბა), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ხმაურის წყაროსა და უახლოეს რეცეფტორებს შორის არსებობს ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები (ხე მცენარეები, ბეტონი ღობე და სხვა) შენობა-ნაგებობების სახით, რომლებიც 10-14 დბა-ით შეამცირებენ ხმაურის გავრცელებას. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გარემოსდაცვით მონიტორინგის გეგმის მიხედვით, კვარტალში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში კომპანია უზრუნველყოფს ხმაურის გავრცელების ინსტრუმენტულ მონიტორინგს საწარმოს საზღვრის პერიმეტრზე საცხოვრებელი ზონების (მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულება) მიმართულებით შერჩეულ საკონტროლო წერტილებში.

		გადაამოწმოს შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენებით, რეალურად მცირდება თუ არა ხმაურის დონე იმ ბარიერებით, რაც საწარმოს ტერიტორიაზეა წარმოდგენილი.	გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს საწარმოს გეგმიურ/არაგეგმიურ შემოწმებებს.
8	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	შეგახსენებთ, რომ დარღვევის შემდგომ ერთ-ერთი განსაზღვრული პირობა არის ის, რომ ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება კომპანიამ უნდა უზრუნველყოს გეგმის შეთანხმებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში (გზშ, გვ 198). როდისთვის გეგმავს კომპანია შეიძინოს შესაბამისი აპარატურა შემოტანილ ნედლეულზე და ასევე გატანილ პროდუქციაზე რადიაციული გამოსხივების ინსტრუმენტული მონიტორინგის ჩასატარებლად?	დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შემოტანილ ნედლეულზე და ასევე გატანილ პროდუქციაზე რადიაციული გამოსხივების ინსტრუმენტული მონიტორინგისთვის მაღალეფექტური დანადგარის შეძენა-დამონტაჟებას გეგმავს არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.
9	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის დოკუმენტაციაში წერია, რომ საწარმოში ნარჩენი გროვდება სეგრეგირებულად, შესაბამის სათავსებში, თუმცა ამავე ანგარიშის ცხრილ N6.13.1 მოცემულია, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილია ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების შეძენა, მარკირება და საწარმოს ტერიტორიაზე განთავსება. საჭიროა დაზუსტდეს, რეალურად რა მდგომარეობაა ამ	დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით დანერგილია ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, რისთვისაც მოწყობილია ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნები და განთავსებულია შესაბამისი რაოდენობისა და მარკირების კონტეინერები (ცალკე სახიფათო ნარჩენების

		ეტაპზე საწარმოში ნარჩენების შეგროვების კუთხით.	სახეობების მიხედვით და ცალკე არასახიფათო ნარჩენებისთვის).
10	მოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	ზემოაღნიშნულ ცხრილში, გზდ-ის შენიშვნაზე სადაც მოთხოვნილია მორწყვის გრაფიკის შეთანხმება ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში, კომპანიას პასუხად უწერია - „გათვალისწინებულია: ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ძრავების გამოწვა ხდება თერმულ ღუმელში“. აღნიშნული ჩანაწერი შეუსაბამობაშია მოთხოვნასთან და დასაზუსტებელია რა ეტაპზეა მორწყვის გრაფიკის შეთანხმების საკითხი.	დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ ჩანაწერში დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა. მოცემული უნდა ყოფილიყო შემდეგი ინფორმაცია: „საწარმოსა და მიმდებარე ტერიტორიის მორწყვის პერიოდულობის გრაფიკი მონიტორინგის გეგმასთან ერთად შესათანხმებლად წარდგენილია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.“ გარდა ამისა, კომპანიამ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (11) უნდა უზრუნველყოს საწარმოსა და მიმდებარე ტერიტორიისა მორწყვა ცხელ და მშრალ ამინდში მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად.
11	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	საწარმოს ერთ-ერთ ვალდებულებად განსაზღვრული აქვს, 2024 წლის 31 დეკემბრამდე სააგენტოს წარუდგინოს საწარმოს გადაიარაღების გეგმა-გრაფიკი, რაზეც კომპანიას პასუხად უწერია, რომ საწარმოში წლების განმავლობაში მიმდინარეობს ტექნოლოგიური დანადგარ მოწყობილობის განახლება და გადაიარაღება. ამის ნათელი მაგალითია ფოლადსადნობ	სააგენტოს მიერ სკოპინგის ეტაპზე დოკუმენტაციის განხილვისა და საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტზე შემდგომი რეაგირების მიზნით ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

		საამქროში ახალი ელექტრორკალური ღუმელის მოწყობა, სორტული გლინვის საამქროში ახალი 43 ტ/სთ წარმადობის ღუმელის დამონტაჟება და სხვა. ტექნოლოგიური გადაიარაღება მისასალმებელია, თუმცა უნდა შეწყდეს გადაიარაღების გეგმა-გრაფიკსა და უნებართვოდ განხორციელებული ტექნოლოგიური ცვლილებების გაიგივება. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს წარუდგინოს შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაცია, გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც სააგენტოსთვის, ისე საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ კომპანიას მოცემული ცვლილებები განხორციელებული აქვს მინიმუმ 2 წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კომპანია დაგეგმილ 35 ტ/სთ ღუმელს სატესტო რეჟიმში ამუშავებდა. ის რომ განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე წარუდგინოს სააგენტოს სანებართვო დოკუმენტი, არის მხოლოდ ჩანაწერი და არ აქვს არანაირი სამართლებრივი დატვირთვა,	უნებართვოდ განხორციელებულ საქმიანობებთან დაკავშირებით სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოხდა საწარმოს ინსპექტირება და გამოვლენილ დარღვევებზე შპს „რუსთავის ფოლადის“ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ შედგა №072920; №071729 და №071728 ოქმები, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 ნოემბრის №4-420-22 დადგენილებით შპს „რუსთავის ფოლადი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76^1 მუხლის პირველი ნაწილის, 79^7 მუხლის პირველი ნაწილისა და 79^8 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა.

		რადგან შპს „რუსთავის ფოლადი“ სამწუხაროდ არ არის მხოლოდ ერთი ობიექტი, რომელსაც სააგენტოში სანებართვო დოკუმენტაცია ცვლილების განხორციელების შემდგომ შეაქვს. კომპანიებს, განსაკუთრებით კი ისეთ მსხვილ ობიექტებს, როგორიცაა შპს „რუსთავის ფოლადი“ უღირთ კანონით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდა და კანონდარღვევით ფუნქციონირება, რადგან იციან, რომ სააგენტოს განსხვავებული ბერკეტი უკვე მოწყობილი და ფუნქციონირებადი მსხვილი საწარმოების შეზღუდვისთვის არ გააჩნია. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს კანონით არ აქვს ბერკეტი, რომ ამგვარ უნებართვო წარმოებებს გადაწყვეტილების აღებამდე მოსთხოვოს საწარმოს/დანადგარის დემონტაჟი, საჭიროა შესაბამის ინსტანციაში დააყენოს ამ მიმართულებით კანონის ცვლილების საკითხი, რადგან ასეთი კომპანიების უპასუხისმგებლო ქმედებებს ეწირება არამხოლოდ გარემო, არამედ მოსახლეობის ჯანმრთელობაც.	

12	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2025 წლის მესამე კვარტალში სორტული გლინვის საამქროს გაფრქვევ მილზე დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემა აზოტის დიოქსიდის და ნახშირბადის მონოქსიდის ინსტრუმენტული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ აზოტის დიოქსიდის ზდკ-ს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, სასურველია სააგენტომ ვალდებულად განუსაზღვროს კომპანიას, აღნიშნულ მილზე უწყვეტი მონიტორინგის სისტემის მოკლე ვადებში დაყენება. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყველა დახურულ საამქროში სადაც გამოიყენება სალესი (აბრაზიული) ქვები მოწყობილი იქნება ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია, შესრულების ვადად კი მითითებულია 2026 წლის 1 იანვარი. ვადა საჭიროებს კორექტირებას. გზშ-ის ანგარიშში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის განხორციელება განსაზღვრულია კვარტალში ერთხელ. გამომდინარე იქიდან, რომ აზოტის დიოქსიდის ზდკ-ს მაჩვენებელი საკმაოდ	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (4) პირობის შესაბამისად, შპს „რუსთავის ფოლადი“ ვალდებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული და დადგენილი იქნება ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები ყველა წყაროსთვის,მათ შორის საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით თვითმონიტორინგის წარმოებას დაქვემდებარებული წყაროებისთვის (მათ შორის: სარეზერვო ღუმელი). ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-6 პირობის შესაბამისად, შპს „რუსთავის ფოლადი“ ვალდებულია ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31

		მაღალია, სასურველია კონტროლის სიხშირე ამ ნივთიერებაზე მაინც გაიზარდოს.	დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა.
13	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წიდის დროებით განთავსებისა და ჯართის მიღება-დამუშავების ღია უბნებზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა მოწყობილი არ არის, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნულ ტერიტორიებზე წარმოქმნილი წყლის ხარისხის და მისი მართვის საკითხები.	დამატებითი ინფორმაციის თანახმად, წიდის დროებითი განთავსებისა და ჯართის მიღება-დამუშავების უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები, საწარმოს სხვა ტერიტორიის სანიაღვრე წყლებთან ერთად ჩაედინება რეგიონული გამწმენდი ნაგებობის მიმყვან კოლექტორში. ამასთან, გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს შპს „გარდაბნის გამწმენდ ნაგებობასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება საწარმოო-სამეურნეო მიზნებით გამოყენებულ და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი

			ნაგებობის მიმყვან კოლექტორში ჩაშვების თაობაზე.
14	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომპანია გეგმავს არსებული საწარმოს შენობის ფანჯრების და ღიობების შემინვას, რაც სასურველია დადგენილი ვადების მითითებით განესაზღვროს კომპანიას პირობის სახით.	საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების რაოდენობის შემცირების მიზნით, გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. კერძოდ, მუდმივად და სისტემატურად განხორციელდება საამქროების შენობების და ფანჯრების შემინვა და შეძლებისდაგვარად ჰერმეტიზაცია, სადნობი ღუმელების და ციცხვღუმელების გამწოვი სავენტილაციო სისტემების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა და სხვა.
15	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	კომპანიის მიერ მომზადებულ თითქმის ყველა დოკუმენტაციაში ბოლო წლების განმავლობაში ვხვდებით ჩანაწერს, რომ უნებართვო წიდასაყარზე მზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ნებართვის მისაღებად უნდა წარედგინოს სააგენტოს. ამ პერიოდში, წიდასაყარი, მათ შორის წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო ფუნქციონირებს შეუჩერებლად. რა სირთულეს წააწყდა კომპანია გზშ-ის	„ქ. რუსთავში, შპს „რუსთავის ფოლადის“ დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსებასა და დამუშავებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სააგენტოს 2023 წლის 22 აგვისტოს N424/ს ბრძანებით გაცემულია N20 სკოპინგის დასკვნა. გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის

		დოკუმენტის მომზადებისას და რატომ ვერ მომზადდა ამდენი წლის განმავლობაში შესაბამისი ანგარიში.	მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 3 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.
16	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჯართის ფეთქებად საშიშროების განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდები არ არსებობს და შესაბამისად კონტროლი ხორციელდება ვიზუალური დათვალიერებით. როგორ ხდება ვიზუალური დათვალიერებით ფეთქებად საშიშროების განსაზღვრა?	დამატებითი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში ფეთქებად უსაფრთხოებაზე ხორციელდება ჯართის დათვალიერება და საეჭვო ნაკეთობის დაფიქსირების შემთხვევაში ხდება მისი დეტალური შესწავლა. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში უტარდება დემონტაჟი ან უბრუნდება მომწოდებელს.
17	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის:	სააგენტომ კომპანიას უნდა განუსაზღვროს აირმტვერდამჭერ მოწყობილობაში დაჭერილი მტვრის შემადგენლობაზე ჩატარებული შესაბამისი ანალიზების წარმოდგენის ვადები, რათა დაზუსტდეს მათი	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „რუსთავის ფოლადის“ დაკვეთით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეომორფოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და

	ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	სახიფათოობის/არასახიფათოების სტატუსი და უკვე განისაზღვროს მათი მართვის კონკრეტული მიმართულებები.	გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრის აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიაში ჩატარდა მეტალურგიული საწარმოს მტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის ლაბორატორიული და წიდის ლაბორატორიული კვლევა. ლაბორატორიის მიერ 2022 წლის დასკვნის მიხედვით საწარმოში წარმოქმნილი მტვერი მიეკუთვნება არასახიფათო ნარჩენებს. ლაბორატორიული კვლევის ანგარიში თან ახლავს გზშ-ის ანგარიშს (დანართი N5).
18	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ ელ. ფოსტა: gavigudet@gmail.com მის: ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4	გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“ აქტიურად ადევნებს თვალს სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებებს, რუსთავში არსებული/დაგეგმილი საწარმოების შესახებ, ესწრება საჯარო განხილვებს და აგზავნის შენიშვნებს, სასურველია, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება ან დასკვნა, რომელიც გაიცემა კონკრეტულ საქმიანობაზე, კომპანიასთან და მუნიციპალიტეტთან ერთად, გამოგვეგზავნოს ჩვენც.	„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თავსდება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.